რა ვიცით პარლამენტის შესახებ?

5-6

მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებლისთვის

თბილისი
2020

რა ვიცით პარლამენტის შესახებ?

5-6

მასწავლებლის სახელმძღვანელო

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს პარლამენტი

UNDP

სახელმძღვანელო მომზადებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები და მისი შინაარსი არ უნდა აღვიქვათ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად.

ტექსტის ავტორები: კახაბერ ურიადმყოფელი

ნინო გვარამაძე

სტილის რედაქტორი: გვანცა გედენიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:

კონცეფცია: დემოკრატიის ლაბორატორია

ილუსტრაციები: იკო ელბაქიძე

დიზაინი: თეონა კერესელიძე

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE PRINTING HOUSE

© ყველა უფლება დაცულია
© საქართველოს პარლამენტი

ISBN 978-9941-8-2687-0

სარჩევი

	შესავალი	5
1.	კანონების აუცილებლობა სახელმწიფოში და პარლამენტი (მოსწავლის წიგნში: „რა არის პარლამენტი და რისთვის არის ის საჭირო?“)	6
2.	პარლამენტის წევრები და ამომრჩევლები (მოსწავლის წიგნში: „ვინ შეიძლება იყოს საქართველოს პარლამენტის წევრი და როგორ ირჩევენ მას?“)	9
3.	საპარლამენტო სესიები და პარლამენტის სხდომა (მოსწავლის წიგნში: „როგორ მუშაობს პარლამენტი?“)	13
4.	პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა (მოსწავლის წიგნში: „როგორ მუშაობს პარლამენტი კანონებზე?“)	16
5.	პარლამენტის საკონტროლო საქმიანობა (მოსწავლის წიგნში: „როგორ აკონტროლებს პარლამენტი კანონების აღსრულებას?“)	19
6.	პარლამენტის ურთიერთობა მოსახლეობასთან (მოსწავლის წიგნში: „როგორ ურთიერთობს მოსახლეობა პარლამენტთან?“)	22
	დანართი	27

შესავალი

ამ წიგნით წარმოგიდგენთ სასწავლო პაკეტს: „რა ვიცით პარლამენტის შესახებ“.

ზოგადად, ბავშვებს ადრეული ასაკიდან ესმით სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც არ იციან. მშობლები მიიჩნევენ, რომ მათ შინაარსს ბავშვები თავის დროზე გაიგებენ. ამიტომ პატარებს ხშირად არასწორი წარმოდგენა უყალიბდებათ ამა თუ იმ ცნებასა და მოვლენაზე, საზოგადოების ნაწილზე, სახელმწიფოსა და მის მართვაზე. ეს პაკეტი მოიცავს მოსწავლის სახელმძღვანელოსა და მეთოდურ სახელმ-ძღვანელოს პედაგოგებისთვის. მისი მიზანია, მოსწავლეებს ზოგადი წარმოდგენა შეუქმნას საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე. მასალა განკუთვნილია V-VI კლასის მოსწავ-ლეთათვის. მას აგრძელებს VII კლასის სახელმძღვანელო, სადაც პარლამენტის საქმიანობის საკითხები უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი.

წინამდებარე წიგნის დახმარებით, მასწავლებლები გაკვეთილებს ჩაატარებენ პარლამენტის თემაზე. მასში წარმოდგენილია აქტივობები მასალის ასათვისებლად; შემოთავაზებულია გაკვეთილების ჩატარების გარკვეული თანმიმდევრობა; ახსნილია თითოეული საკითხისა და აქტივობის მიზანი; და მოცემულია დამატებითი მეთოდური ან ზოგადპედაგოგიური ინფორმაცია მასწავლებლისთვის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.

წიგნში განხილულია 6 საკითხი. ყველა მათგანი იწყება ბავშვისთვის ნაცნობი კონტექსტის განხილვით, მისი წინარე ცოდნის გააქტიურებით, რომელზეც მოსწავლე აშენებს ახალ ცოდნას. ინტერაქტიული მეთოდოლოგიის გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, რომ მაქსიმალურად გაუძლიეროს მოსწავლეს შემეცნებითი პროცესი და გაუმარ-ტივოს მასალის აღქმა. კითხვების ნაწილს ახლავს სწორი პასუხები (ფრჩხილებში).

1. კანონების აუცილებლობა სახელმწიფოში და პარლამენტი (მოსწავლის წიგნში: „რა არის პარლამენტი და რისთვის არის ის საჭირო?“)

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ კანონების აუცილებლობა სახელმწიფოში.

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს კითხვების დასმით მოსწავლეთათვის კარგად ნაცნობი კონტექსტიდან:

- რომელი თამაში გიყვართ ყველაზე მეტად?
- გაიხსენეთ ამ თამაშის 1 ან 2 წესი.
- რა მოხდება, თუ ამ წესს ან წესებს დაარღვევთ? *(დაჯარიმდებით, ან მოთამაშეთა უკმაყოფილებას გამოიწვევთ)*
- რა მოხდებოდა, თამაშს წესები რომ არ ჰქონდეს? *(არეულობა)*
- ვინ მოიფიქრა ეს წესები? *(ძნელი სათქმელია, პირველად ვინ მოიფიქრა, მაგრამ ოფიციალური სპორტული თამაშების წესებს საერთაშორისო ორგანიზაციები ადგენენ — მაგალითად, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია)*
- რას აკეთებენ ბავშვები თამაშის გარდა?

შემდეგ მოსწავლეები ასრულებენ **1-ელ აქტივობას**. მისი **მიზანია,** ბავშვებმა გაიაზრონ ადამიანის ცხოვრების მრავალფეროვნება და ყველა სფეროში წესების არსებობა.

მასწავლებელი ამოწმებს თითო პასუხს სხვადასხვა მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებიდან.

აქტივობა 1. შესაბამისობის დადგენა

მე-6 გვერდზე (მოსწავლის წიგნში) მოყვანილია ბავშვებისა და უფროსების საქმიანობის ამსახველი სურათები. ჩამოწერე რვეულში ამ სურათების ნომრები, მიუწერე გვერდზე საქმიანობა და მისი ერთი რომელიმე წესი, როგორც მოცემულია ნიმუშში:

1. სწავლა — სკოლაში მეცადინეობა ყოველდღე ერთსა და იმავე დროს იწყება.
2. -----
3. -----

და ა.შ.

ქვემოთ მოყვანილია 1-ლი აქტივობის შესაძლო პასუხები:

1. სწავლა — სკოლაში მეცადინეობა ყოველდღე ერთსა და იმავე დროს იწყება.
2. მუშაობა — დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების წესები.
3. დასვენება ზღვაზე — დიდ ტალღებში ბანაობა აკრძალულია.
4. ქუჩაში სიარული — გადასვლა ნებადართულია მხოლოდ მწვანე შუქნიშანზე.
5. მკურნალობა — ექიმის დანიშნულება ზუსტად უნდა შესრულდეს.
6. მოგზაურობა — მოგზაურობისას პირადობის დამადასტურებელი საბუთი თან უნდა გქონდეს.
7. კვება — ხორცი, კარტოფილი და ზოგიერთი სხვა პროდუქტი უმად არ იჭმევა, ის უნდა მოიხარშოს ან შეიწვას.

მოსალოდნელია, მოსწავლეებმა სხვაგვარად ჩამოაყალიბონ თავიანთი პასუხები. ეს მაგალითები მოყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, თუ ბავშვებს გაუჭირდებათ პასუხის გაცემა.

შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათ მიერ დასახელებული ყველა წესი ადამიანებს არეულობას ან საფრთხეს არიდებს. მაშასადამე, ქვეყანა მშვიდად რომ ცხოვრობდეს, უნდა იცავდეს გარკვეულ წესებს. ამ საერთო წესებს, რომლებიც სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს ეხება, **კანონები** ჰქვია. კანონებს ქმნის **პარლამენტი.**

კითხვა:

- იცით, სად მდებარეობს პარლამენტის შენობა?

მოსწავლეები ასრულებენ **მე-2 აქტივობას.** მისი **მიზანია,** მოსწავლეებს წარმოდგენა შეუქმნას პარლამენტის შენობაზე, რაც შემდგომ დაეხმარებათ პარლამენტის მუშაობის გააზრებაში.

დავალება სრულდება ჯგუფებში. მოსწავლეები ნაწილდებიან 4 ჯგუფად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს აძლევს 1-ლი დანართის ფოტოების ასლებს, რომლებიც წინასწარ უნდა გადაიღოს და დაჭრას მართკუთხედებად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა იმუშაოს ერთ ფოტოზე. მასწავლებელი მიუთითებს სურათებს მოსწავლის წიგნის მე-8 გვერდიდან.

აქტივობა 2. სურათის აღდგენა

შეასრულეთ დავალება ჯგუფებში.

- 1 წუთის განმავლობაში ყურადღებით დააკვირდით თქვენი ჯგუფისთვის განკუთვნილ სურათს. შეეცადეთ, სურათი აღადგინოთ მისი ნაწილების მიხედვით.
- დააკვირდით პარლამენტის სხდომათა დარბაზს (სურათი 3). როგორ ფიქრობთ, დაახლოებით, რამდენი ადამიანი ზის დარბაზში?

მასწავლებელი აზუსტებს, რომ საქართველოს პარლამენტში 150 წევრია. მათ **დეპუტატები** ეწოდებათ.

აქ პედაგოგი ხაზს უსვამს, რომ „პარლამენტის წევრი“ და „პარლამენტის დეპუტატი“ ერთსა და იმავეს ნიშნავს.

რესურსები: სახელმძღვანელოები, ფოტოების ასლები (თითო ეგზემპლარი), დაჭრილი მართკუთხედებად.

განმარტება მასწავლებლისთვის

დასაწყისში გამოყენებულია კითხვების დასმის მეთოდი. ყველა კითხვა ღიაა და მოსწავლისგან მოითხოვს დამოუკიდებელ პასუხს. გარდა ზემოაღნიშნულისა, აქტივობა 1 მოსწავლეებს უვითარებს დაკვირვებულობასა და ანალიტიკურ უნარს, აქტივობა 2 კი — მხედველობით მეხსიერებასა და მოტორულ უნარებს.

2. პარლამენტის წევრები და ამომრჩევლები (მოსწავლის წიგნში: „ვინ შეიძლება იყოს საქართველოს პარლამენტის წევრი და როგორ ირჩევენ მას?“)

მიზანი

მოსწავლეებმა გაიცნონ პარლამენტის მუშაობის წლიური განრიგი; ასევე, პირობები, რომლებიც საჭიროა კანდიდატობისა და არჩევნებში მონაწილეობისათვის.

კითხვა:

- რატომ არ ქმნის კანონებს მთელი საქართველოს მოსახლეობა ერთობლივად?

მოსწავლეთა პასუხების მიღების შემდეგ, მასწავლებელი ამბობს, რომ საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონს აღწევს

და ყველას ერთად შეკრება მსჯელობისათვის შეუძლებელი იქნება. ამიტომ, მოსახლეობა პარლამენტში ირჩევს საკუთარ წარმომადგენლებს — პარლამენტის წევრებს ანუ დეპუტატებს.

მასწავლებელი დაფაზე წერს პირობებს, რომლებიც აუცილებელია პარლამენტის წევრობისათვის:

- საქართველოს მოქალაქე;
- 25 წლის ან მეტის;
- 10 წელია ან მეტი ცხოვრობს საქართველოში;
- არ აქვს მისჯილი თავისუფლების აღკვეთა სასამართლოს მიერ.

თუ მოსწავლეებისთვის რთული გასაგებია, რას ნიშნავს „თავისუფლების აღკვეთა“, მასწავლებელი უხსნის, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ადამიანი შეიძლება ჩამოაშორონ საზოგადოებას გარკვეული დროით (ან უვადოდ) და მოათავსონ სპეციალურ დაწესებულებაში.

მოსწავლეებს შესასრულებლად ეძლევათ **მე-3 აქტივობა**. მისი **მიზანია** მოსწავლეთა გარკვევა დეპუტატობისთვის საჭირო პირობებში, რაც უნდა გაკეთდეს მონაცემთა ანალიზის გზით.

აქტივობა 3. მონაცემთა ანალიზი

წყვილებში მოიფიქრეთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვისი არჩევა შეიძლება პარლამენტის წევრად და რატომ:

ნათია — 28 წლის არის და საქართველოს მოქალაქეა. სკოლის პირველი 6 კლასი უცხოეთში ისწავლა, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. ამჟამად სკოლაში მუშაობს მასწავლებლად.

კოტე — 23 წლის არის და საქართველოს მოქალაქეა. მუდმივად საქართველოში ცხოვრობს. მან კარგი განათლება მიიღო და უნივერსიტეტში მუშაობს.

ზურა — 29 წლის არის და საქართველოს მოქალაქეა. დაბადებისთანავე მშობლებმა უცხოეთში წაიყვანეს საცხოვრებლად. ბოლო სამი წელია, საქართველოში ცხოვრობს და მუშაობს.

პასუხების მიღებისას აუცილებლად დააზუსტებინეთ მოსწავლეებს, რომელი პირობა კმაყოფილდება თითოეულ შემთხვევაში და რომელი არა; ასევე, საიდან ასკვნიან, რომ ბოლო პირობა (პატიმრობის შესახებ) დაკმაყოფილებულია *(ამჟამად ყველა მუშაობს).* პირობებში გარკვევის გარდა, ასეთი ტიპის სავარჯიშოები მოსწავლეებს ლოგიკურ აზროვნებას უვითარებს.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ პარლამენტის წევრებს ირჩევენ 4 წელიწადში ერთხელ. მიზანი ის არის, რომ ყოველთვის ერთი და იგივე ხალხი არ იყოს პარლამენტში. ეს სამართლიანია.

კითხვა:

- საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა 2008, 2012 და 2016 წლებში. დაასახელეთ მომდევნო არჩევნების წლები.

ასეთი ტიპის კითხვები ქვემოთაც გამოიყენება. ისინი ეხმარება ბავშვს მასწავლებლის ნათქვამის გააზრებაში და ხელს უწყობს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მათემატიკური წიგნიერების განვითარებას.

შემდგომ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ ვინ ირჩევს დეპუტატებს (ვინ არის ამომრჩეველი) და დაფაზე წერს პირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი არჩევნებში მონაწილეობისათვის:

- საქართველოს მოქალაქე;
- 18 წლის ან მეტის.

კითხვა:

- რამდენი წლის შემდეგ შეძლებთ არჩევნებში მონაწილეობას?

მასწავლებელს შეუძლია, ჰკითხოს მოსწავლეებს, ხომ არ ყოფილან უფროსებთან ერთად არჩევნებზე?

იგი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ამომრჩეველი ირჩევს მას, ვისი შეხედულებებიც მეტად მოსწონს. არჩევნები მიმდინარეობს ფარული კენჭისყრით.

მოსწავლეების მიერ ფარული და ღია კენჭისყრის არსის **გასააზრებლად**, მასწავლებელი მათ სთავაზობს ორ სიტუაციას; ასევე, სთხოვს, წინასწარ კარგად დაფიქრდნენ საკუთარი გადაწყვეტილების მოსალოდნელ შედეგებზე.

სიტუაცია 1. დავგეგმეთ ექსკურსია, მაგრამ ამინდის პროგნოზის მიხედვით, შესაძლოა, თავსხმა წვიმაში მოვყვეთ. ვისაც უნდა, რომ მაინც წავიდეთ ექსკურსიაზე, ხელი აწიოს.

მასწავლებელი ითვლის ხმებს.

სიტუაცია 2. დავგეგმეთ ექსკურსია. პარალელური კლასის სამ მოსწავლეს სურს ჩვენთან ერთად წამოსვლა. თქვენ დაგირიგდებათ პატარა, სუფთა ფურცლები. ვისაც გინდათ, რომ ისინი ჩვენთან ერთად წამოვიდნენ ექსკურსიაზე, დასვით ნიშანი „+“, ვინც არ ეთანხმებით ამას, დასვით ნიშანი „-“. ნურავის აჩვენებთ თქვენს ფურცელს, დაკეცეთ და ჩააბარეთ მასწავლებელს.

მასწავლებელი ითვლის ხმებს.

კითხვა:

- რა განსხვავებაა ამ ორ კენჭისყრას შორის? *(პირველ შემთხვევაში ყველამ იცოდა, ვინ რა პასუხი გასცა, ხოლო მეორე შემთხვევაში ეს დაფარული იყო (თუკი ყველამ ერთი და იგივე პასუხი არ გასცა)).*

რესურსები: მცირე ზომის ფურცლები მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით.

განმარტება მასწავლებლისთვის

აქტივობა კენჭისყრის შესახებ არის იმიტაცია. მართალია, ის მოსწავლისგან მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ ძირითადად მაინც პროცედურის გაცნობას მიემართება.

3. საპარლამენტო სესიები და პარლამენტის სხდომა (მოსწავლის წიგნში: „როგორ მუშაობს პარლამენტი?“)

მიზანი

მოსწავლეებმა გაიცნონ პარლამენტის მუშაობის წლიური განრიგი და პარლამენტის სხდომის მიმდინარეობა.

საკითხზე მუშაობას მასწავლებელი იწყებს მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტის განხილვით. კერძოდ, შეახსენებს სასწავლო წლის დაყოფას და სვამს კითხვას:

- როდის იწყება და მთავრდება პირველი სემესტრი? მეორე სემესტრი?

პასუხების მიღების შემდეგ, ის უხსნის მოსწავლეებს, რომ პარლამენტის სამუშაო წელი ჰგავს სასწავლო წელს და პარლამენტის შემთხვევაში სემესტრს ჰქვია **სესია**. პირველ სემესტრს ეწოდება **საშემოდგომო სესია,** ხოლო მეორეს —

საგაზაფხულო სესია. მასწავლებელი დაფაზე წერს სესიების დაწყებისა და დასრულების განსაზღვრის წესს. მაგალითად:

საშემოდგომო სესია

- დასაწყისი - სექტემბრის პირველი სამშაბათი;
- დასასრული - დეკემბრის მესამე პარასკევი.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს **მე-4 აქტივობის** შესრულებას. ის ემსახურება პარლამენტის წლიური განრიგის გაგება-გააზრებას.

აქტივობა 4. კალენდარზე მუშაობა

კალენდარში მოძებნე:

- რომელ რიცხვში დაიწყო და დამთავრდა საშემოდგომო სესია 2019 წელს;
- რომელ რიცხვში დაიწყო და დამთავრდა საგაზაფხულო სესია 2020 წელს.

თუ მასწავლებელს აქვს პროექტორის გამოყენების საშუალება, უმჯობესია, კალენდარი აჩვენოს ეკრანზე. სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია ნებისმიერი სხვა კალენდრის გამოყენება (მაგ.: ტელეფონის).

პარლამენტის სხდომაზე წარმოდგენის შესაქმნელად, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წიგნში მოძებნონ სხდომათა დიდი დარბაზის ფოტო (გვ. 12). ის განუმარტავს, რომ სხდომას, სადაც პარლამენტის ყველა წევრი მონაწილეობს, ეწოდება **პლენარული სხდომა.** კარგი იქნება ამ ფოტოს განხილვა ეკრანზე. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ შესაძლოა, პარლამენტის ზოგიერთი წევრი ვერ დაესწროს სხდომას საპატიო მიზეზების გამო. სხდომა ტარდება მაშინ, როცა მას ესწრება პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტი.

კითხვა:

- გამოთვალე, სულ მცირე, რამდენი წევრი უნდა ესწრებოდეს საქართველოს პარლამენტის სხდომას, რომ ის ჩატარდეს? *(150:2+1=76)*

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება საკითხებზე, რომლებზეც შეიძლება მსჯელობდეს პარლამენტი (ადამიანის უფლებები, უსაფრთხო გარემო, განათლება, ჯანსაღი ცხოვრება და ა.შ.). მსჯელობისას დეპუტატები სვამენ კითხვებს, პასუხობენ მათ და გამოთქვამენ მოსაზრებებს. ამ პროცესს **დებატები** ეწოდება. დებატების შემდეგ ისინი იღებენ გადაწყვეტილებას.

შემდეგ მასწავლებელი უბრუნდება ფოტოს და მოსწავლეებს უსვამს კითხვებს:

- ვინ შეიძლება იჯდეს გრძელ მაგიდასთან (პრეზიდიუმში)?
- რა ევალება თავმჯდომარეს?
- ვისთვის არის ტრიბუნა?

პასუხების მიღების კვალდაკვალ, მასწავლებელს შესწორებები შეაქვს მოსწავლეთა ნათქვამში. იგი განმარტავს, რომ პარლამენტის სხდომას უძღვება პარლამენტის თავმჯდომარე. მისი მოვალეობაა, სხდომაზე იყოს წესრიგი და ყველაფერი წესის შესაბამისად წარიმართოს. მასწავლებელი მიუთითებს: სად სხედან თავმჯდომარე, დეპუტატები, სტუმრები და მედია; სად არის სიტყვით გამომსვლელის ტრიბუნა; და როგორ აძლევენ ხმას დეპუტატები (სურათი მოსწავლის წიგნში — ტაბლო, გვ. 13).

რესურსები: სახელმძღვანელო, კალენდარი.

განმარტება მასწავლებლისთვის

პროცედურული საკითხების გააზრება ნიადაგს ამზადებს საკანონმდებლო საქმიანობის არსის გასაგებად.

4. პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობა (მოსწავლის წიგნში: „როგორ მუშაობს პარლამენტი კანონებზე?“)

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ საკანონმდებლო საქმიანობა.

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს ერთ-ერთ გაკვეთილზე ნათქვამს, რომ წესების არსებობა აადვილებს ცხოვრებას. შემდეგ მიმართავს მათ:

- ხომ არ დავფიქრდეთ ქცევის რაიმე წესების შემოღებაზე კლასში? შევთანხმდეთ მათზე და დავიცვათ კიდეც.

მოსწავლეები ასრულებენ **მე-5 აქტივობას**, რომელიც ორ მიზანს ემსახურება:

1) უფრო ადვილად გაიაზრონ კანონის შემუშავებისა და მიღების პროცედურა;

2) გატარდეს პოზიტიური აღზრდის პრინციპი.

პოზიტიური აღზრდისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა და მასწავლებელმა ერთად შეიმუშაონ წესები და შემდეგ დაიცვან ისინი. ამ წესების შემუშავება მიზანშეწონილია სასწავლო წლის დასაწყისში, თუმცა დღეს მიღებული გამოცდილების გამოყენება შესაძლებელია მომავალი წლის დასაწყისშიც.

აქტივობა 5. წესების შემუშავება ჯგუფებში

- დაიყავით 3 ჯგუფად და მოიფიქრეთ 2-3 წესი თქვენი კლასისთვის. რა მოხდება, თუ ვინმე დაარღვევს ამ წესებს?

- წარუდგინეთ კლასს თქვენ მიერ შემუშავებული წესები;

- იმსჯელეთ თითოეულ წესზე და ჩამოაყალიბეთ საბოლოო სახით;
- კენჭი უყარეთ თითოეულ წესს;
- ჩამოწერეთ 3 წესი, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

მე-5 აქტივობის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- გაიხსენეთ პარლამენტის ძირითადი საქმიანობა. *(კანონების მიღება)*
- ვინ ირჩევს პარლამენტს? *(საქართველოს მოქალაქეები)*
- ვისთვის იწერება კანონები? *(საქართველოს მთელი მოსახლეობისთვის)*

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს კანონის მიღების პროცედურას და პარალელს ავლებს ჩატარებულ აქტივობასთან. თუ საჭიროა, იგი ყურადღებას ამახვილებს განსხვავებაზე. შემდეგ მიუთითებს მოსწავლის წიგნის მე-15 გვერდზე, სადაც კანონის მიღების პროცედურა მოცემულია სქემატურად.

მასწავლებელმა უნდა აუხსნას ბავშვებს, რომ კანონპროექტზე მუშაობასა და კანონის მიღებას უწოდებენ პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობას, თვითონ პარლამენტს კი — საკანონმდებლო ორგანოს.

კითხვები:

- ხომ არ გინახავთ პარლამენტის სხდომა?
- რატომ შუქდება ეს სხდომები? *(ხალხმა უნდა იცოდეს, რაზე და როგორ მუშაობენ და რა გადაწყვეტილებებს იღებენ მის მიერ არჩეული წევრები).*

დასასრულს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ და უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- რა გაიგე ახალი?
- რა გაგიძნელდა?
- რა იყო შენთვის ადვილი?
- რომელი აქტივობა მოგეწონა?
- რომელი აქტივობა არ მოგეწონა?

მასწავლებელი არ ავალდებულებს მოსწავლეებს, რომ მთელ კლასს გაუზიარონ ყველა პასუხი. ისინი მხოლოდ სურვილის შემთხვევაში პასუხობენ კითხვებს ხმამაღლა.

ეს რეფლექსია აუცილებელია.

განმარტება მასწავლებლისთვის

მე-5 აქტივობა ემსახურება რეალურ მიზანს — წესების შემუშავებას. გარდა იმისა, რომ ის კანონის მიღების ანალოგიისთვის გამოიყენება, წესების ერთობლივი შემუშავება პოზიტიური აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნიკაა (ხშირად გვხვდება სინონიმები „პოზიტიური დისციპლინა“ და „არაძალადობრივი აღზრდა“). „პოზიტიურ აღზრდაში“ იგულისხმება: უარის თქმა ავტორიტარიზმზე, ყურადღების გამახვილება ემოციებზე, საჭიროებების გამოვლენა, კონფლიქტების მართვის სწავლება „მოგება-წაგების“ გარეშე და თანამშრომლობა. პოზიტიური აღზრდა ეფუძნება ბავშვის პატივისცემას, ვინა-

იდან ის პიროვნებაა — ამასთანავე, უფრო ფაქიზი, ვიდრე ზრდასრული ადამიანი, და ნაკლები გამოცდილების მქონე. ასეთი აღზრდა ემყარება ნდობას და არა ბავშვის შერცხვენას ან მიტოვებულობის განცდას. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ უფროსებს სჯერათ მისი შესაძლებლობების. პოზიტიური აღზრდა არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ნებადართულია. აღზრდას უნდა ჰქონდეს თავისი ჩარჩო და წესები, რაც ძალადობრივი აღზრდის დროს ბრმად ინერგება. არაძალადობრივი აღზრდისას გამოყენებული წესები მარტივია და ბავშვისთვის გასაგები. წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს სანქციები. თუმცა ეს სანქციებიც და პედაგოგის ქმედებაც უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის მხარდაჭერასა და პრობლემის გადაჭრას. ეს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მე-5 აქტივობაზე მუშაობისას, რათა სანქციები წესების შეუსრულებლობისთვის მიზნად ისახავდეს მოსწავლის დახმარებას და არა მის შერცხვენა-შეურაცხყოფას.

5. პარლამენტის საკონტროლო საქმიანობა (მოსწავლის წიგნში: „როგორ აკონტროლებს პარლამენტი კანონების აღსრულებას?“)

მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს, რომ მათ მიერ შემუშავებულ საკლასო წესების შესრულებას აუცილებლად სჭირდება კონტროლი. კონტროლის მექანიზმი დამოკიდებულია შემუშავებულ წესებზე. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მსჯელობს ასეთი მექანიზმის შერჩევაზე.

ამის შემდეგ ის უხსნის მოსწავლეებს, რომ პარლამენტიც აკონტროლებს კანონების აღსრულებას; ასევე განუმარტავს, რომ კანონების აღსრულებაზე პასუხისმგებელია **აღმასრულებელი ხელისუფლება** — მთავრობა, რომელშიც შედიან მინისტრები (მაგ.: განათლების, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ჯანდაცვის და სხვა). ისინი ხელმძღვანელობენ სამინისტროებს. მთავრობის მეთაურს **პრემიერ-მინისტრი**

ეწოდება. მასწავლებელი აჩვენებს მთავრობის სქემატურ სურათს (მოსწავლის წიგნში გვ.17)

მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ 4 მინისტრი მოცემულია პირობითად, სინამდვილეში მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. პარლამენტი კანონების აღსრულებას აკონტროლებს მინისტრთა ანგარიშების მოსმენით. მაგალითად, პარლამენტმა მიიღო კანონი ზოგადი განათლების შესახებ. განათლების სამინისტრო წყვეტს, თუ რას, როგორ და ვინ ასწავლის სკოლებში. პარლამენტი დროდადრო იწვევს განათლების მინისტრს და უსვამს კითხვებს სკოლებში სწავლების მიმდინარეობაზე.

მოსწავლეები ასრულებენ **მე-6 აქტივობას.** მისი **მიზანია,** მოსწავლეებს ზოგადი წარმოდგენა შეექმნათ პარლამენტის საკონტროლო საქმიანობაზე, რაც უნდა მოხერხდეს კითხვების ანალიზით.

აქტივობა 6. კითხვების ადრესატის დადგენა

გამოიცანი, რომელ მინისტრს ეხება დასმული კითხვები:

1. როგორ ამოწმებთ სკოლებში დისტანციურ სწავლებას? *(განათლების მინისტრს)*

2. რამდენი საავადმყოფო გაიხსნება უახლოეს ნახევარ წელიწადში? *(ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს)*

3. როგორ გეგმავთ სამხედროების წვრთნას ახალი სამხედრო ტექნიკის ასათვისებლად? *(თავდაცვის მინისტრს)*

4. რა სამუშაოები გატარდა ავტოსაგზაო შემთხვევების (ავარიების) შესამცირებლად? *(შინაგან საქმეთა მინისტრს)*

განმარტება მასწავლებლისთვის

მოსწავლეებთან ერთად კონტროლის მექანიზმების შემუშავებისას, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს პოზიტიური აღზრდის ძირითადი პრინციპები.

6. პარლამენტის ურთიერთობა მოსახლეობასთან (მოსწავლის წიგნში: „როგორ ურთიერთობს მოსახლეობა პარლამენტთან?“)

მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს, რომ პარლამენტს ირჩევს ხალხი. შესაბამისად, მან მოსახლეობის ყველა ჯგუფზე უნდა იზრუნოს. ხალხის პრობლემების გასაცნობად, დეპუტატები ხვდებიან მოსახლეობას, ისმენენ მათ მოსაზრებებს და ესაუბრებიან.

შემდეგ პედაგოგი მოსწავლეებს სთავაზობს **მე-7 აქტივობას.** აქტივობის **მიზანია,** მოსწავლეებმა გაიაზრონ პარლამენტის წევრების ურთიერთობა მოსახლეობასთან და მისი მნიშვნელობა. ამ ეტაპზე არაარსებითია, თუ რა თემაზე შეიძლება ესაუბრო პარლამენტის წევრს: აღნიშნულ საკითხს ხელისუფლების შტოებად დანაწილებამდე მივყავართ, რაც არ არის ადვილი გასაგები V-VI კლასის მოსწავლეებისთვის.

აქტივობა 7. როლური თამაში

დაიყავით ჯგუფებად:

- მოიფიქრეთ, რა პრობლემებზე შეიძლება ესაუბროთ დეპუტატს;
- თითოეულ ჯგუფში აირჩიეთ ერთი მოსწავლე, რომელიც განასახიერებს დეპუტატს მეორე ჯგუფისთვის;
- არჩეულ მოსწავლეს სხვა ჯგუფის წევრები ესაუბრებიან პრობლემებზე.

აქტივობა სრულდება შემდეგნაირად:

პირველ ეტაპზე პრობლემები ჩამოყალიბდება ჯგუფებში. შემდეგ თითოეული ჯგუფიდან ერთი შერჩეული მოსწავლე გადადის მომდევნო ჯგუფში: პირველიდან არჩეული — მეორეში, მეორედან არჩეული — მესამეში... ბოლო ჯგუფიდან არჩეული კი — პირველში. მესამე ეტაპზე ჯგუფები თავიანთ პრობლემებს წარუდგენენ „დეპუტატს“. „დეპუტატმა“ უნდა მოძებნოს შესაბამისი პასუხი. მათი საუბარი ყველამ უნდა მოისმინოს.

აქტივობის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი სვამს კითხვას:

- კიდევ როგორ შეიძლება აზრის მიწოდება პარლამენტისთვის?

მასწავლებელი ისმენს პასუხებს და გზადაგზა აზუსტებს მათ. შესაძლებლობებს ჩამოწერს დაფაზე:

- პარლამენტში სტუმრობა;
- წერილის გაგზავნა ჩვეულებრივი ან ელექტრონული ფოსტით;

- მონაწილეობა პარლამენტის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა შეხვედრაში.

მასწავლებელი უხსნის მათ, რომ მოქალაქეებთან ურთიერთობასა და სხვა ფუნქციების შესრულებაში დეპუტატებს ეხმარება პარლამენტის აპარატი, სადაც დასაქმებულია ასეულობით ადამიანი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რომელ თვეებში არ მიმდინარეობს საპარლამენტო სესიები.

კითხვა:

- როგორ ფიქრობთ, რას აკეთებენ ამ დროს დეპუტატები? *(ამზადებენ საკითხებს, ხვდებიან მოსახლეობას, მონაწილეობენ სატელევიზიო გადაცემებში, ისვენებენ)*

ინფორმაციის მოპოვება პარლამენტის მუშაობისა (სხდომების განრიგი, კანონპროექტები, კანონები) და წევრების შესახებ (ტელეფონის ნომერი, ელფოსტის მისამართი) შესაძლებელია პარლამენტის ვებგვერდზე www.parliament.ge

თუ კლასში არის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, მასწავლებელს შეუძლია, ეს გვერდი გაკვეთილზევე წარუდგინოს მოსწავლეებს. სხვა შემთხვევაში, პედაგოგი მათ სთავაზობს, რომ შინ ან სკოლის სხვა კომპიუტერიდან შევიდნენ ამ გვერდზე.

განმარტება მასწავლებლისთვის

მე-7 აქტივობის მეორე ეტაპი მოიცავს როლურ თამაშს. მოსწავლეებმა იციან, ვის განასახიერებენ და შემდეგ თვითონ ქმნიან შესაბამის სახეს. ეს მეთოდი მათ „აიძულებს“, თავი იგრძნონ ამომრჩევლებისა და დეპუტატების ადგილზე. ამგვარი მიდგომა დაეხმარებათ მოსახლეობასთან შეხვედრის არსის გაგებაში.

მოსწავლეებს შეუძლიათ, თავიანთი ცოდნა შეაფასონ კროსვორდის შევსებით.

მასწავლებელი აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ კროსვორდი შეავსონ უბრალო ფანქრით.



1. ასე უწოდებენ პარლამენტის წევრს. *(დეპუტატი)*

2. ვინ უძღვება პარლამენტის სხდომას? *(თავმჯდომარე)*

3. თვე, როცა იწყება პარლამენტის საგაზაფხულო სესია. *(თებერვალი)*

4. პარლამენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა „საპარლამენტო _____“. *(კონტროლი)*

5. ასე ეწოდება პარლამენტის მიერ დადგენილ წესებს. *(კანონი)*

6. რა ჰქვია პროცესს, რომელზეც პარლამენტი განიხილავს საკითხებს და იღებს გადაწყვეტილებებს? *(სხდომა)*

7. რა ეწოდება პარლამენტის შეკრებას, რომელიც წელიწადში ორჯერ იმართება? *(სესია)*

8. ფორმა, რომლითაც გადაწყვეტილებები მიიღება პარლამენტში. *(კენჭისყრა)*

9. რა ეწოდება კანონს, ვიდრე მას პარლამენტი მიიღებს? *(კანონპროექტი)*

10. ქალაქი, სადაც მდებარეობს საქართველოს პარლამენტი. *(თბილისი)*

სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია კითხვები, რომლებიც მოსწავლეებმა შეიძლება დაუსვან ოჯახის წევრებს.

2. დაუსვი შეკითხვები უფროსებს და შეამოწმე მათი ცოდნა:

ა) რამდენი წევრია საქართველოს პარლამენტში?

ბ) რამდენი წლით ირჩევენ პარლამენტს?

გ) რამდენი წლის უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რომ გახდეს პარლამენტის წევრი?

დ) რა არის კანონი?

ე) ვინ აწერს ხელს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს?

ვ) სად შეიძლება პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ნახვა?

დავალება

დაფიქრდი ამ კითხვებზე და ერთ-ერთს წერილობით გაეცი პასუხი.

1. რა მნიშვნელობა აქვს პარლამენტის საქმიანობაში ანდაზას: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“?

2. როგორი უნდა იყოს პარლამენტის წევრი?

3. მე რომ პარლამენტის წევრი ვიყო...

დანართი